საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66

56-01-4-202202041629

04/02/2022

https://edocument.ge/AdjaraGov/public

ბრძანება

N 01-01-3/56

შპს „უჩხო“ -ზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის ლიცენზიის გაცემის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 აპრილის N98 დადგენილების, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების“ და „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ-„წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს უფროსის 2018 წლის 01 მაისის N2 ბრძანების, 2022 წლის წლის 14 იანვარს ჩატარებული ელექტრონული აუქციონის, ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტის, ბუნებრივი რესურსების ლიცენზირების განყოფილების უფროსის 2022 წლის 24 იანვრის N01-01-22/43 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1 გაიცეს, შპს „უჩხო“-ზე (ს/ნ 448 053 846) ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კურცხალის მიმდებარედ „დიორიტი“-ს გამოვლინების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია 7 წლის ვადით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) დაუწესდეს მიწისა და სამთო მინაკუთვნი ფართობით 16500 კვ.მ დანართი N1-ით განსაზღვრული X და Y კოორდინატების ფარგლებში;

ბ) სასარგებლო წიაღისეულის ჯამური მოპოვება ლიცენზიის მოქმედების პერიოდში განისაზღვროს 115 500 კუბურიმეტრის ოდენობით.

2. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის:

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;

ბ) ობიექტის დამუშავება განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისადმი ნორმირებული უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვით, საფეხურევრივად ჰიფსომეტრული ნიშნულიდან დაბლისაკენ (ზემოდან ქვემოთ),

გ) ობიექტის ექსპლოატაციის პერიოდში მოხსნილი ფუჭი ქანის დასაწყობდეს, რათა გამოირიცხოს ფუჭი ქანის ჩაყრა მდინარის ხეობაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მდინარის შეგუბება და ასევე ქვათაცვენისა და ღვარცოფული პროცესების განვითარება.

დ) ობიექტის ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით დამუშავების შემთხვევაში შერჩეული უნდა იქნას მუხტების ოპტიმალური სიდიდე, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს აფეთქებისაგან გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებს.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, გზის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა (გზის საფუძვლისა და ასფალტობეტონის საფარის მოწყობა) ასევე წიაღისეულის ტრანსპორტირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალების ღერძზე დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ" აჭარის ა.რ. კანონით გათვალისწინებულ ნორმას.

ზ) ლიცენზიის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის კოორდინატების თვალსაჩინოდ მონიშვნა.

თ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება;

ი) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, მათ შორის აუცილებლობის შემთხვევაში, „კარიერის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N450 დადგენილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

კ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;

ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;

მ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 11/08/2021 წლის N08/461 წერილის საფუძველზე დადგენილი სხვა პირობები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;

ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);

ო) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები,

პ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის „საავტომობილო გზების შესახებ" მე-16 მუხლის „თ" პუნქტის შესაბამისად მოპოვებითი სამუშაოების დაწყებამდე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში წარადგინოს ტრანსპორტის შესასვლელი და გამოსასვლელი სქემატური ნახაზი და გზის საფარის მოწყობა განახორციელოს საავტომობილო გზის საფარის იდენტურად გზის ღერძიდან 30 მეტრის ფარგლებში

ჟ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს

მთვრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

რ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის N100 ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების ტექნიკის წესები.

ს) ლიცენზიის მფლობელის მიერ გაიცემა თანხმობა, სსიპ -სახელმწიფო ქონების ეროვნული საგენტოს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში; - ლიცენზიის მფლობელი მოქალაქეებს არ შეუზღუდავს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე გადაადგილების უფლებას; - სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი არ შეუზღუდავს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფას

3. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „უჩხო"-ს.

4. დაევალოს, სამინისტროს ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტს, სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ.თბილისი, სანაპიროს ქ.N2), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯაბა ფუტკარაძე

მინისტრი

დამტკიცებულია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის

2022 წლის „----------" N *ბრძანებით*

01-01-3/56

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. კურცხალის მიმდებარე ტერიტორიაზე
„დიორიტის" ადგილმდებარეობის

X და Y კოორდინატები

№	X	Y
0	274139	4620438
1	274156	4620458
2	274154	4620481
3	274188	4620538
4	274166	4620576
5	274145	4620663
6	274081	4620628
7	274110	4620571
8	274075	4620544
9	274063	4620485
10	274090	4620449
S= 16 500 კვ/მ		
WGS-1984		

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№ 000467

2022 წლის "04" "თებერვალი"

(ლიცენზიის უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი)

გაცემულია: შპს „ეჩხო"-ზე (ს/ნ 448 053 846)

(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება/ ვინაობა, მონაცემები მის შესახებ)

საფუძველი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2022 წლის 04 თებერვლის N 01-01-3/56 ბრძანება

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი:

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კურცხალის მიმდებარედ

მიწისა და სამთო მინაკუთვნი - 16500 კვ.მ.

მოსაპოვებელი წიაღისეულის სახეობა და მოცულობა:

სასარგებლო წიაღისეულის - დიორიტის გამოვლინება

ჯამური მოპოვება 115500 კუბურიმეტრი

სალიცენზიო პირობები: განსაზღვრულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2022 წლის 04 თებერვლის N01-01-3/56 გრძანებით.

ლიცენზიის მოქმედების ვადა 7 **წელი:** 04/02/2022 **დან** 04/02/2029**მდე**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელი

(ხელმოწერა)

გავეცანი ლიცენზიის პირობებს და ვიღებ პასუხისმგებლობას მათ შესრულებაზე (ლიცენზიის მფლობელი)

(ხელმოწერა)